

მომზადების თარიღი : 11.01.2011

გადახედვის თარიღი: 02.12.2013

ვერსია: 8

პროდუქტის სახელწოდება: **MULTI MATİK**

მასალის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის კოდი: MSDS0570

გვერდი 1/8

1. ნივთიერების / ნარევის და კომპანიის/საწარმოს იდენტიფიკაცია

პროდუქტის საიდენტიფიკაციო მონაცემები

პროდუქტის სახელწოდება: **MULTI MATİK**

ნივთიერების ან ნარევის სათანადო და არარეკომენდირებული გამოყენება: ტანსაცმლის პროფესიონალური სარეცხი საშუალება

მწარმოებელი/ მიმწოდებელი: Diversey Kimya Sanayi ve Ticaret A.Ş.

Değirmenyolu Cad. Huzur Hoca Sokak No:86, 34752

იჯერენკოი/სტამბული

ტელ: 0216 578 64 00

ფაქსი: 0216 578 64 01

გადაუდებელი დახმარების ტელეფონის ნომერი:

საინფორმაციო ცენტრი: Diversey Kimya Sanayi ve Ticaret A.Ş. ტელ: +90 216 578 64 00

2. საფრთხის იდენტიფიკაცია

თვალეების დაზიანების სერიოზული რისკი;

კლასიფიკაცია (1999/45/EEC): Xi; R41.

კლასიფიკაციის სისტემა:

კლასიფიკაცია შეესაბამება ამჟამინდელ EC რეგულაციებს სახიფათო ნივთიერებებისა და ნარევის შესახებ.

3. შემადგენლობა / ინფორმაცია ინგრედიენტების შესახებ

ქიმიური მახასიათებლები:

აღწერა:

წყალში არასახიფათო ნივთიერებებისა და ქვემოთ ჩამოთვლილი ინგრედიენტების ნარევი.

სახიფათო ნივთიერებები:

CAS: 64425-86-1 ალკილის სპირტის ეთოქსილატი <5%

Xn;R22. Xi;R41 N;R50.

EINECS: პოლიმერი

CAS: 497-19-8	ნატრიუმის კარბონატი Xi;R36. EINECS: 207-838-8	>30%
CAS: 15630-89-4	ნატრიუმის პერკარბონატი Xn;R22. Xi;R41. O;R8. EINECS: 239-707-6	5-10%
CAS: 90194-45-9	ნატრიუმის ალკილბენზოლისულფონატი Xn;R22. Xi;R38,R41. EINECS: 290-656-6	5-15%
CAS: 1344-09-8	დინატრიუმის ტრისილიკატი Xi;R36/37/38. EINECS: 215-687-4	<5%

ინგრედიენტები სარეცხი საშუალებების შესახებ EC 648/2004 დადგენილების მიხედვით
ანიონური სურფაქტანტები, ჟანგბადზე დაფუძნებული მათეთრებლები 5-15%

არაიონური სურფაქტანტები, ცეოლიტი,
ოპტიკური გამაღივებელი საშუალებები,
საპონი, სუნამოები <5%

დამატებითი ინფორმაცია:

სათანადო რისკის ფრაზების სრული ტექსტი მოცემულია მე-16 პუნქტში.

*პროფესიული ზემოქმედების ზღვარი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, მითითებულია მე-8 პუნქტში.

4 . პირველადი დახმარების ზომები

ზოგადი ინფორმაცია: სპეციალური ზომების მიღება არაა საჭირო.

შესუნთქვა: პაციენტი გაიყვანეთ ზემოქმედების ადგილიდან. სიმპტომების დაწყების შემთხვევაში აღმოუჩინეთ სამედიცინო დახმარება.

კანთან კონტაქტი: კანი დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საკმარისი რაოდენობის წყლით. დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი. სიმპტომების დაწყების შემთხვევაში მიიღეთ სამედიცინო დახმარება.

თვალთან კონტაქტი: დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საკმარისი რაოდენობის წყლით.

დაუყოვნებლივ მოითხოვეთ სამედიცინო დახმარება.

გადაყლაპვა: გამოივლეთ წყალი პირში. დალიეთ ერთი ან ორი ჭიქა წყალი (რძე). მიიღეთ სამედიცინო დახმარება.

5. ხანძარსაწინააღმდეგო ზომები

სათანადო ხანძარჩამქრობი საშუალებები

ნახშირორჟანგი, მშრალი ფხვნილი, წყლის გამფრქვევი ჭავლი
მასშტაბურ ხანძარს ებრძოლეთ წყლის გამფრქვევი ჭავლით ან ალკოჰოლ -
რეზისტენტული ქაფით.

დამცავი აღჭურვილობა: საჭირო არ არის სპეციალური ზომების მიღება;

6. სიფრთხილის ზომები ავარიული გაჟონვისას

პირადი სიფრთხილის ზომები: მოერიდეთ თვალთან კონტაქტს;

გარემოსთან დაკავშირებული სიფრთხილის ზომები: განაზავეთ საკმარისი რაოდენობის წყლით. არ დაუშვათ რომ შეაღწიოს მიწაში / ნიადაგში.

განკარგვის მეთოდი:

უზრუნველყავით სათანადო ვენტილაცია. შეაგროვეთ მექანიკურად.

შეგროვებული მასალა განკარგეთ ეროვნული ან ადგილობრივი რეგულაციების შესაბამისად.

დამატებითი ინფორმაცია:

პირადი დამცავი აღჭურვილობის შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მე-8 პუნქტი, ხოლო ნარჩენების გადამუშავების შესახებ ინფორმაციისათვის იხილეთ მე-13 პუნქტი.

7. გამოყენება და შენახვა

გამოყენება (იხილეთ აგრეთვე მე-8 და მე-15 პუნქტები)

ინფორმაცია უსაფრთხო გამოყენების შესახებ:

მოერიდეთ თვალთან კონტაქტს; თავიდან აიცილეთ ქაფის წარმოქმნა;

გამოყენების შემდეგ ხელები დაიბანეთ საკმარისი რაოდენობის წყლით და საპნით და გაიმშრალეთ.

გამოყენებისას არ ჭამოთ, დალიოთ ან/და მოწიოთ.

ინფორმაცია დაცვის შესახებ აფეთქებისა და ხანძრის დროს:

სპეციალური ზომების მიღება არაა საჭირო.

შენახვა

მოთხოვნები შესანახ ოთახსა და კონტეინერებთან დაკავშირებით:

ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად;

შენახვით ერთ საერთო შესანახ ობიექტზე:

ადგილობრივი და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად;

შენახვის პირობები: უნდა ინახებოდეს გრილ, მშრალ ადგილზე, მჭიდროდ დახურულ ორიგინალ კონტეინერში, მჟავა პროდუქტებისაგან, ნესტისა და მზის პირდაპირი სხივებისაგან მოშორებით.

8. ზემოქმედების კონტროლი / პირადი დაცვა**კონტროლის პარამეტრები**

შეზღუდული მაჩვენებლის კომპონენტები რომლებიც საჭიროებენ ზედამხედველობას სამუშაო ადგილზე:

პროდუქტი შესაძლოა საჭიროებდეს დაკვირვებას ზემოქმედების მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

დამატებითი ინფორმაცია:

საფუძვლად გამოყენებული იქნა სიები, რომლებიც ძალაში იყო დოკუმენტის შედგენის დროს.

ზემოქმედების კონტროლი

პროფესიონალური ზემოქმედების კონტროლი:

დამატებითი ინფორმაცია ტექნიკური სისტემის მოწყობაზე: იხილეთ მე-7 პუნქტი

დაცვის და ჰიგიენის ძირითადი ზომები:

გამოიყენეთ მხოლოდ კარგად ვენტილირებად სივრცეში;

მოარიდეთ საკვებს, სასმელს და ცხოველების საკვებს;

კარგად დაიბანეთ ხელები შესვენებისას და სამუშაო დღის დასრულებისას.

დაუყოვნებლივ გაიხადეთ დაბინძურებული ტანსაცმელი.

დამოყენებისას არ ჭამოთ, არ დალიოთ და არ მოწიოთ.

მოერიდეთ თვალთან კონტაქტს.

სასუნთქი მოწყობილობები:

ნორმალური გამოყენების პირობებში მოცემული არ არის სპეციალური მოთხოვნები. თუმცა, მოერიდეთ მტვრის, ორთქლის და აეროზოლის შესუნთქვას.

ხელების დაცვა:

ნორმალური გამოყენების პირობებში მოცემული არ არის სპეციალური საჭიროებები.

თვალის დაცვა:

მჭიდროდ მორგებული დამცავი სათვალეები.

9. ფიზიკური და ქიმიური მახასიათებლები

ფორმა	მყარი (მტვერი)
ფერი	თეთრი, მოლურჯო - მომწვანო
არომატი	არომატიზირებული
მნიშვნელოვანი ინფორმაცია ჯანმრთელობის, უსაფრთხოების და გარემოს შესახებ	
დუღილის წერტილი / დუღილის დიაპაზონი	არ არის დადგენილი
აალების წერტილი	არ არის მოცემული
სპონტანური წვა	პროდუქტი არ არის თვით აალებადი
აფეთქების საფრთხე	პროდუქტი არ არის ფეთქებადი
სიმკვრივე	810 გ/ლ
ხსნადობა / წყალში შერევა:	ხსნადი
pH - მაჩვენებელი	pH (1 % ხსნარი) = 10.8

10. მდგრადობა და რეაქტიულობა

პირობები რომელიც თავიდან უნდა იქნას აცილებული:

პროდუქტი არ იშლება, თუ კი ინახება და გამოიყენება მითითებების შესაბამისად.

არათავსებადი მასალები: მჟავები

სახიფათო შლის პროდუქტები:

არც ერთი არაა ცნობილი ნორმალური შენახვისა და გამოყენების პირობების დროს.

11. ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია

მწვავე ტოქსიკურობა და მგრძნობელობა

მწვავე ტოქსიკურობა:

პროდუქტი არ შემოწმებულა ცხოველებზე მაგრამ ტოქსიკოლოგიური კლასიფიკაციის მიხედვით LD50 (პერორალური) შეფასდა რომ არის >2000 მგ/კგ.

კანთან კონტაქტი: ნორმალური გამოყენებისას გაღიზიანება არ არის მოსალოდნელი

თვალთან კონტაქტი: იწვევს მწვავე გაღიზიანებას

შესუნთქვა: შესაძლოა გამოიწვიოს გაღიზიანება

გადაყლაპვა: იწვევს გაღიზიანებას

დამატებითი ტოქსიკოლოგიური ინფორმაცია:

EC კლასიფიკაცია: გამღიზიანებელი

12. ეკოლოგიური ინფორმაცია

ზოგადი შენიშვნები:

დანიშნულების მიხედვით გამოყენებისას პროდუქტმა არ უნდა გამოიწვიოს გვერდით მოვლენები ეკოლოგიური თვალსაზრისით.

13. განკარგვის პირობები

პროდუქტი

ნარჩენები / გამოყენებული პროდუქტი:

დაუშვებელია მისი განკარგვა საყოფაცხოვრებო ნარჩენებთან ერთად.

არ ჩაუშვათ გაუზავებელი პროდუქტი საკანალიზაციო სისტემაში.

განკარგვა უნდა მოხდეს ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად.

ცარიელი შეფუთვები

რეკომენდაცია: განკარგვა უნდა მოხდეს ოფიციალური რეგულაციების შესაბამისად.

რეკომენდირებული გამწმენდი საშუალება: წყალი, თუ კი გამწმენდი საშუალების საჭიროება დადგება.

14. ინფორმაცია ტრანსპორტირების შესახებ

სახმელეთო ტრანსპორტი ADR/RID (საზღვრის კვეთა)

ADR/RID კლასი : ----

საზღვაო ტრანსპორტი IMDG:

IMDG კლასი: ----

საჰაერო ტრანსპორტი ICAO-TI და IATA-DGR:

ICAO/IATA კლასი : ----

ტრანსპორტი / დამატებითი ინფორმაცია :

მითითებული რეგულაციების მიხედვით არ არის სახიფათო.

15. მარეგულირებელი ინფორმაცია

კლასიფიკაცია EC სახელმძღვანელო მითითებების შესაბამისად

პროდუქტის კლასიფიკაცია და მარკირება მოხდა ამჟამინდელი 1907/2006/EEC

დირექტივების მიხედვით.

პროდუქტის სიმბოლო და საფრთხის მითითება:



Xi გამლიზიანებელი

კლასიფიკაციის განმსაზღვრელი შემადგენელი კომპონენტები:

ნატრიუმის პერკარბონატი

რისკთან დაკავშირებული ფრაზები:

41 თვალების დაზიანების სერიოზული რისკი

უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ფრაზები:

24/25 მოერიდეთ თვალთან და კანთან კონტაქტს

26 თვალთან კონტაქტის შემთხვევაში, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საკმარისი რაოდენობის წყლით და მოიძიეთ სამედიცინო დახმარება

28 კანთან კონტაქტის შემდეგ, დაუყოვნებლივ ჩამოიბანეთ საკმარისი რაოდენობის წყლით .

36/37/39 ჩაიცვით სათანადო დამცავი ტანსაცმელი, გაიკეთეთ ხელთათმანები და თვალების / სახის დამცავი

43 ხანძრის შემთხვევაში, გამოიყენეთ CO₂, ცეცხლის ჩასაქრობი ფხვნილი საშუალება ან წყალი.

45 ავარიულ შემთხვევაში ან თუ თავს ცუდად იგრძნობთ, დაუყოვნებლივ მოიძიეთ სამედიცინო დახმარება (როდესაც შესაძლებელია მიუთითეთ ეტიკეტიც).

16. სხვა ინფორმაცია

წინამდებარე დოკუმენტში წარმოდგენილი ინფორმაცია ეფუძნება ჩვენს ამჟამინდელ ცოდნას. თუმცა, ის არ წარმოადგენს გარანტიას რაიმე კონკრეტული პროდუქტის მახასიათებლებზე და არ ადგენს იურიდიულად სავალდებულო ხელშეკრულებას.

მე-3 და მე-15 პუნქტში ჩამოთვლილ შემადგენელ კომპონენტებთან დაკავშირებული რისკ ფრაზების ტექსტი

- 8 აალებად მასალასთან კონტაქტმა შეიძლება გამოიწვიოს ხანძარი.
- 22 საზიანოა გადაყლაპვის შემთხვევაში
- 36 იწვევს თვალების გაღიზიანებას
- 36 / 37 / 38 იწვევს თვალების, სასუნთქი სისტემის და კანის გაღიზიანებას.
- 38 იწვევს კანის გაღიზიანებას.
- 41 თვალების სერიოზული დაზიანების რისკი
- 50 ძლიერ ტოქსიკურია წყლის ბინადრების მიმართ

საერთაშორისო ცნობარი:

განყოფილება, რომელიც გასცემს მასალის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცელს: Diversey Europe BV, პროფესიონალური და მარეგულირებელი საქმეები, კვლევა და განვითარება - EMA- რეგიონი, ნიდერლანდები

მასალის უსაფრთხოების მონაცემთა ფურცლის კოდი: MSDS0570

ვერსია: 8

კონტაქტი: Diversey-ს ადგილობრივი ტექნიკური ცენტრი, თურქეთი

გაცემულია ინგლისურ ენაზე (22/11/2012)

ბიულენტ ოზდემირი / CRAD Cevre Risk Analiz Denetim ve Egitim Hizm. LTD. STI. სერტიფიცირებულია თურქული სტანდარტების ინსტიტუტის (TSE) მიერ რათა მომზადდეს მონაცემთა უსაფრთხოების ფურცელი